საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №96

2017 წლის 13 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №01-08/58 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №90 დადგენილების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№7, 25.09.2017) და კომისიის თავმჯდომარის, გიზო ფარცხალაძის მოხსენებითი ბარათის (MES 6 171165970, 29.09.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგები, წარმოდგენილი ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის 2017 წლის 25 სექტემბრის N7 სხდომის ოქმის საფუძველზე და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულ იქნან:

ა) ნუნუ ნაკაშიძე;

ბ) ლამზირა გორგილაძე.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, მათი ბსუ-სთან აფილირების განაცხადის შედეგად გაფორმებული წერილობითი შეთანხმების გათვალისწინებით, თანახმად ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის

აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებისა.

3. გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს წინამდებარე დადგენილების მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, **2017 წლის 25 სექტემბრიდან** (2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისი) **2021 წლის 25 სექტემბრამდე** ვადით.

4. კონკურსში გამარჯვებული პირები ვალდებულია არაუგვიანეს 2017 წლის - 16 ოქტომბრისა გამოცხადდნენ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ბსუ-სთან აფილირების განაცხადების წარმოდგენისა და შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. მათი გამოუცხადებლობის ან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გაუქმებულად ჩაითვალოს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული კონკურსის შედეგები.

5. ნუნუ ნაკაშიძესთან და ლამზირა გორგილაძესთან, როგორც აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიურ დატვირთვების დამტკიცების შესახებ რექტორის ბრძანებებში და ვადაზე ადრე შეწყვეტილი იქნეს ამ პირებთან, როგორც მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

6. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებსა და სააპელაციო საჩივრის ავტორს.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

8. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**